№ 20
იანვრის 25, შაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

1903

№ 20
იანვრის 25, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


# 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

## ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.

გორში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.

...ბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.

...რაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

...რში:— არტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

## ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

## დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . . . . . 2 664,808 მან.

### I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ს... და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

### II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

### III. დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) დაზღვევა ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ სოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდა“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—79)

---

### ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების ავტორებს, რომ არც ერთი პიესა არ იქნა პრემიით დაჯილდოვებული და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს პიესების წაღება შეუძლიანთ, ყოველ დღე დილის 11-დამ 1-ს საათამდე: უნდა მიჰმართონ საზოგადოების კანტორაში.

ადმინისტრატორი ბ. ნახუცრიშვილი.
(3—3—2)

---

ქართველ ქალთა ამხანაგობის

### სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

---

ე ქ ი მ ი

### ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

---

№ 33. ტელეფონი № 176

იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

## ქართული თეატრი

კვირას, 26 იანვარს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

ორი ახალი პიესა

I

### მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი უხასიათობისა

დრამ. 4 მოქ. ან. ჩეხოვის „Ивановъ“-დან გადმოკეთებული მ. ნასიძის-მიერ.

II

### სულ ამ ცხვირის ბრალია!

ვოდ. 1 მოქ. გადმოკ. ივანიძეს-მიერ.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, ელ. ჩერქეზიშვილი. ბ ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ჟღენტი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მიკუნჭული ბედნიერება“, „ნორა“, „სიძე-სიმამრი“, „ჩატეხილი ხიდი“, „დარღვეული კერა“.

რეჟისორი ვალ. გუნია.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

---

## ისყიდება

ვერაზედ. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის პირდაპირ, სამოსახლო 300 საჟ.

### მ ი წ ა

იკითხეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შიო ქუჩუკაშვილთან და ან წიგ გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ალექსანდრეს ბაღის თავში ელისაბედ მესხიშვილთან.
(10—6.—6).

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

მ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობიჲ და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაპათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

მრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

მ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. მ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)


---

ტფილისი, 25 იანვარი, 1903 წ.

ღვაწლი საქართველოს უწინდელ სამღვდელოებისა ყველასთვის და ყოველგან თვალსაჩინოა.

მის ზედამხედველობით იდგმებოდა დიდებული ტაძრები.

მის ზრუნვით ტაძრის არე-მარეს შენდებოდა წალკოტები, ვენახები, ზვრები.

ტაძრის საჭიროებისათვის მღვდელს დიდის ხელოვნებით გამოჰყავდა სარწყავი წყალი, იმართებოდა წყაროები.

მღვდელი მარად რუდუნებდა: სწერდა, თარგმნიდა, ქადაგებდა, სულიერ საზრდოს არ აკლებდა მრევლს.

მტრის შემოსევის დროს მღვდელი უსარდლებდა თავისს სულიერს შვილებს.

მშვიდობიანობის დროს ქალთა და ვაჟთ ასწავლიდა წიგნს, წერა-კითხვას, გალობას, წამლებისა და საღებავების შემზადებას.

მღვდელი, ღვთის მოშიში, იყო „სარკე“ და „სანთელი“ თავისს სამწყსოსი.

მათ შორის ავი და დუხჭირიც ჩნდებოდა, გარნა იშვიათად. ამისთანაების რიცხვი მთელს სამღვდელოებასთან შედარებით წვეთი იყო ზღვა-ოკეანეში.

კეთილმან მწყემსმან თავი თვისი დასდვის ცხოვართა თვისთათვის. ეს ღვთიური და კაცთ-მოყვარული სიტყვები ჩვენს სამღვდელოებაზედაც ითქმოდა.

მეათე საუკუნეშივე ნათობდა დიდი მქადაგებელი იოანე ბოლონელი.

ანტონი ჭყონდიდელის ქადაგებანი მჭევრმეტყველების უაღრესი ნიმუშია და სახე.

ნეკრესელის, ჯანდიერიშვილის და სხ. ქადაგება-მოძღვრებანი ფრიად საგულისხმოა იმ მხრივ, თუ რაზამი ძალა ჰქონდა ქართველ სამღვდელოებას, რაოდენად განვითარებულ იყო იმ ძველის, არა ია-ვარდით, არამედ ეკლითა და ნარით მოფენილს გზა-სავალზედ...

მთელმა წარსულმა საუკუნემ საქართველოს ეკლესიას აღმოუბრწყინა ერთად ერთი დიდი მნათობი, ერთად ერთი დიდი მქადაგებელი, მხოლოდ ერთად ერთი მოსიყვარულე მასწავლებელი.

ეტლებითა და ტახტრევანებით არ დაიარებოდა იგი სოფლით სოფლად, დაბით დაბად, ბარით მთას, მთით ხევხევს.

იგი, მსგავსად განკაცებულ მაცხოვრისა, მგზავრობდა სოფელსა ამას თავის ფეხით და არა კიცვსა ზედა ჯდომით, უღრან ტყეებს ივლიდა, ციცაბო კლდეებს სწვდებოდა, მიდიოდა უშიშრად. გაბედულად, ვითარცა ჭეშმარიტი მწყემსი მოსავლელად თავის ცხოვართა.

ეცვა მას სადად, წმინდად, ბერულად, ქართველ ბერულად. ქადაგებდა მოკლედ, მორჭმით, ტკბილად.

მისი ღვთიური სიტყვა მსმენელს სულს უფრთოვანებდა, სასოებას ჰგვრიდა კაცს.

მისი სახიერება, მამობრივი ქცევა მსმენელს უნერგავდა გულში სიყვარულს, სათნოებას, მერმისის სასოებას.

არ დარჩა სოფელი, საცა მას არ დაეთესოს თესლი წარმატებისა.

არ დარჩა დაბა-ქალაქი, საცა მრავალგზის არ ჩამდგარიყოს ერის შუაში, სადმე ჩრდილოვან ხის ქვეშ, ანუ თვით საყდრის წინაშე და არ ექადაგნოს ყველასთვის გასაგების ენით, მარტივად, დალაგებით, მამაშვილურად.

დღეს აღარა გვყავს ეს ნეტარი და ბრწყინვალე მწყემსმთავარი. იგი გარდაიცვალა 25 იანვარს, 1896 წელს. იმერეთის სამასმა მღვდელმა და ქართველთა ყველა მოწინავე კაცებმა იგი დაიტირეს და უწინდელ მეფეთა განსასვენებელს—გელათს დაასაფლავეს. ეს დიდი მამათმთავარი, ყველამ იცის, იყო გაბრიელი.

გაბრიელისთანა კაცებით საქართველო მრავალს საუკუნეს უმაგრდებოდა აუარებელს ბარბაროსებს.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ როგორც ჩვენ ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, გუშინ დილით უეცრად გარდაცვლილა ქ. პეტერბურგში უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზი (დადიანი), სამეგრელოს უკანასკნელი მთავარის დავითის ძე.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ 4 თებერვალს, სამშაბათს, ინჟენერი თავ. იოსებ ანდრონიკაშვილი წაიკითხავს სამეურნეო საზოგადოებაში თავისს მოხსენებას კახეთის რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. იმედია, ამ საყურადღებო მოხსენებას ჩვენი საზოგადოება აუცილებლად დაესწრება.

✦ გუშინ, იანვრის 23-ს, მესამე გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლეთ, თავის მასწავლებლის ნ. სიდოროვის ხელმძღვანელობით, დაათვალიერეს სიონის საკრებულო ტაძარი და საეკლესიო მუზეუმი. ნახულითა და გაგონილით კმაყოფილნი დარჩნენ.

✦ დღეს ტფილისის კრუჟოკში დანიშნულია სამუსიკო-სალიტერატურო საღამო საქველმოქმედო აზრით; კრუჟოკის დარბაზებში გამართული იქნება სავაჭრო ბაზარი; კონცერტს მოჰყვება ცეკვა; შემოსავალი ამ საღამოსი გადაიდება პირველ გიმნაზიის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ; პროგრამა საღამოსი საინტერესოდ არის შემდგარი და იმედია, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს საღამოს გამმართველთა კეთილ-განზრახულებას და დაესწრება კონცერტს.

✦ დღეს დანიშნულია ტფილისის სკოლა-

თა აღმსრულებელ კომისიის წევრთა კრება.

◆ ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის ადმინისტრაცია გაზაფხულზედ შეუდგება საკუთარს შენობის აგებას ბებუთოვის ქაჩაზედ. ამის გამო გიმნაზიის დირექტორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, გიმნაზიას უფასოდ დაეთმოს ქუჩაში საჭირო ადგილი მასალის დასაწყობად.

◆ ტფილისის ქუჩების განათების გამგემ ქალაქის გამგეობას წარუდგინა სია ავეჯეულობისა და ქონებისა, რაც ყოფილა 1903 წლის 1 იანვრისათვის გასანათებელ საწყობში; როგორც სიიდგან სჩანს, პირველ იანვრისათვის საწყობში ყოფილა 23,548 მან. 23 კაპეიკის ღირებული ქონება.

◆ ტფილისის ქალაქის თავმა გუბერნატორისაგან მიიღო მოწერილობა, გამოგზავნე წარსულ წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქონებათა დეპარტამენტში და კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში წარსადგენადაო.

◆ ავლაბარში მცხოვრებს ი. დ. სარაჯევს, რომელმაც ქალაქისაგან, ავლაბრიდგან ნათლუხსა და საყასბოებამდის ცხენის რკინის გზის გაყვანა ითხოვა, გამგეობამ უარი განუცხადა ამ თხოვნაზედ; გამგეობა უარის თქმას იმაზედ ამყარებს, რომ საზოგადოდ რკინის გზების გაყვანის უფლება ქალაქის ქუჩებში ხელშეკრულობის ძალით, ეკუთვნის უსახელო საზოგადოებასაო.

◆ ზემო ქართლის მემამულემ, აზნაურმა კალატოზიშვილმა, ჯერ კიდევ შემოდგომაზედ მიართვა ქაღალდი ტფილისის გუბერნატორს და სთხოვდა, რომ ნება მიეცა კალატოზიშვილისთვის ტფილისის რკინის გზის სადგურიდგან ქალაქის სხვა-და-სხვა კუთხეებში თვით მოსიარულე ეტლებით გადაეზიდნა ბარგი და სხვა სიმძიმე. ტფილისის გუბერნატორმა კალატოზიშვილის თხოვნა გარდასცა ქალაქის გამგეობას განსახილველად; გამგეობამ დაადგინა: რადგანაც კალატოზიშვილს თავისი თხოვნით პირდაპირ ჩვენთვის არ მოუმართავს, ამიტომ ამ თხოვნის განხილვაში ნუ შევა გამგეობაო.

◆ ხორცზედა და პურზედ ნიხრის გამწესებელს კომისსიის წევრებს უნდა ამოერჩიათ თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა თავ. ნ. ე. არღუთინსკი; 22 იანვარს უკვე მოჰხდა კომისიის კრება, რომელმაც განიხილა ტფილისის ყასბების თხოვნა, ცხვრის ხორცზედ ნიხრის მომატების შესახებ; კომისიამ ვერაფერი გარდასწყვიტა ამ საგნის შესახებ და გადასდო შემდეგის დროსთვის.

◆ ჯერ კიდევ 1895 წელს ხმოსანმა ნ. მ. აქიმოვმა, ჩამოაგდო, ლაპარაკი რომ ქალაქის ლომბარდში დაარსდეს არტელშჩიკის ადგილიო. არტელშჩიკს უნდა ებარებოდეს დაგირავებული ნივთები და მასვე მოეთხოვებოდეს, რომ ნივთები დაცული იყოს ხელუხლებლადაო. დღეს აქამომდე ამ სასურველს საქმეს რაღაც არა სასურველი მიზეზები ეღობებოდა წინ; ახლა-კი ქალაქის საბჭომ, განიხილა-რა საფინანსო კომისსიის მოხსენება, რომ სასურველია, ლომბარდში არტელშჩიკის ადგილის დაარსებისა დ ერთხმად საჭიროდ სცნო არტელის დაარსება, რომელსაც დაევალება დაგირავებულ ნივთების ყურის გდება.

◆ დიდიხანია, ტფილისის ეგრედ წოდებულ ქართველ ებრაელთ განიზრახეს საკუთარის სამლოცველოს (თორის) აგება ტფილისში, მაგრამ დღეს აქმომდე მარილა რომ ქართველური უთაობა იფერხებდა ამ საქმეს; ამ ცოტას ხნის განმავლობაში ქართულ ენაზედ მოლაპარაკე ებრაელებს მიუციათ თხოვნა გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ, რომ ნება დაგვრთეთ ჩვენ შორის შევაგროვოთ ფული საკუთრის თორის ასაგებადაო. გუბერნატორს ებრაელებისთვის ნება დაურთავს, იმ პირობით რომ ხელის-მოწერა გაიმართოს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში და ისიც ერთის წლის ვადით, ამასთანავე გუბერნატორს დაუვალებია პოლიცმეისტრისათვის გამოუცხადოს ქართულად მოლაპარაკე ებრაელებს, რომ შემდეგში არ იწოდებოდნენ ქართველ ებრაელებათ, არამედ იწოდებოდნენ ადგილობრივ ებრაელებათ.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

21 იანვარი (მეცამეტე სხდომა).

ბ. გ. ზდანოვიჩი. სტატისტიურ ბიუროს შესახებ ჯერ კიდევ ექ. ჭიჭინაძემ გვითხრა საყვედური,—რატომ ისე იდეალურად არაა მოწყობილი, რომ ყოველივე ცნობა უნაკლულოდ არაა აღნიშნულიო. სწორედ ახირებული საყვედურია. რამდენი ხანია, რაც რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში ერობა შემოიღეს და მათთან სტატისტიური ბიუროები დაარსდა, მაგრამ დღემდე ვერ მოუწყვიათ ეს საქმე ისე, როგორც სასურველია. ჩვენ ამ საქმეს მხოლოდ მეორე წელიწადია, რაც შევუდექით და რაა საკვირველი, რომ იგი უნაკლულო არ იყოს. რა ადვილია კრიტიკა, როცა სხვა აკეთებს საქმეს, მაგრამ, რა ძნელია თვით საქმის შესრულება... აი, გადასაწყვეტი გახლავთ, როგორ მოვაწესრიგოთ მუშათა სადგომების საქმე; ერთი გვირჩიეთ რამე, გვიბრძანეთ, როგორ მოვიქცეთ! ამდენი ხანია ლაპარაკობთ და უბრალო რჩევაც-კი ვერ მოგიციათ; ჩვენ-კი ყოველივე ერთბაშად და ზედმიწევნით უნდა განვახორციელოთ.

ბ. გ. ემერიკი იმ აზრისაა, რომ ვალდებული ჰყონ ყოველი მრეწველი იქონიოს მუშათათვის რიგიანი სადგომი, ამაში თვით სამთამადნო საზედამხედველოც მხარს დაგვიჭერსო. რაიცა შეეხება ხარჯსა, სხვა მეტი ხარჯებიც მოგვდისო, მაგრამ ასეთი საჭირო ხარჯი-კი არც ერთი არააო. ეხლავ უნდა შევუდგეთ და 1,000 მუშისათვის მაინც უნდა ავაგოთ ყაზარმებიო. ეს 25,000-მდე დაჯდება და სხვა ჩვენ ხარჯებთან ჩასაგდებიც არ არისო.

ბ-ნი ზ. მღივანი იმ აზრისაა, რომ შემუშავებულ მადნის რაოდენობით შეიძლება ივარაუდოს კაცმა, თუ ვის რამდენი მუშა ჰყოლია და ისე გააწეროს მრეწველთ გადასახადიო.

ბ. იოს. კაკაბაძე. მომწონს ბ. ცერცვაძის მოხსენება, მაგრამ უნდა დავსძინო, რომ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა სრული უნდა იყოს და არა ცალმხრივი. მაგალითად, საჭიროა სამუშაო დღის შემცირება, საჭმელსასმლისა და ტანთსაცმელის გაუმჯობესობა და სხ. მე წინად წინააღმდეგი ვიყავი, რომ თვითეულ გადასახადისათვის მოგვემატებია, მაგრამ ეხლა მზადა ვარ მოვუმატოთ, რომ მათი ყოფა-ცხოვრება ყოველნაირად გაუმჯობესდეს.

ბ. კ. მდივანი. საბჭოსაც და თვით კრებასაც საყვედური უნდა უთხრა; რათა ხანია, რაც სხვაგან მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას შეუდგნენ და ჩვენ-კი ასე გვიან მოგვაგონდა ეს საქმე. ისევ ისა სჯობს, სულ დავანებოთ თავი და თვით მუშებს მივანდოთ თავისთვის იზრუნონ, თორემ ჩვენ ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ და ისევ უნუგეშოდ დავტოვებთ, რადგან, როგორც მომავალ ხარჯთ-აღრიცხვიდგან დავინახავთ, საჭირო თანხა არ აღმოჩნდება.

კარგა ხნის კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ სასურველია არჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც საბჭოსთან ერთად უნდა გამონახოს ის სალარო, რომლის მეოხებითაც საბჭომ შემდეგში უნდა აინაზღაუროს მრეწველთაგან დანახარჯი თანხა; მხოლოდ ყაზარმების აგებას ეხლავ უნდა შეუდგეს.

ბ. გ. ზდანოვიჩი. რადგან გადასწყდა, რომ კომისიამ და საბჭომ უნდა გამონახოს ისეთი ღონისძიება, რომ შემდეგში მრეწველთა აზღვეინოს, რაც დაჯდება შენობები,— ივარაუდეთ ის შემთხვევაც, ვინიცობაა ასეთი ღონისძიება არ აღმოჩნდეს, მაშინ საბჭომ იკისროს ეს ხარჯები.

$2\frac{1}{2}$ საათზე კრება შესწყდა 10 წამით კომისიის წევრთა დასასახელებლად.

ექ. ჭიჭინაძე წინააღმდეგია მრეწველებზე გადასახადის გაწერისა და იმ აზრს ემხრობა, რომ მომატებული იქმნას თვითეული გადასახადი.

ბ-ნი კავალევსკი დიდად ჰკვირობს, რომ ყველა გადასახადების მომატებას გაიძახის, როცა სრულიად დაეცა მადნის მაზანდა და მრეწველნი უკიდურესს გაჭირვებაში ჩასცვივდნენ.

თავმჯდომარე. ღებულობს თავის თავზე კრება, რომ აგებული იქმნეს ყაზარმები, თუ არა. ვინც თანახმაა, ვსთხოვ, აბრძანდეს.

უმრავლესობა ფეხზე წამოდგა. შემდეგ ამისა დაასახელეს კომისიის წევრებად, რომელთაც საბჭოსთან ერთად უნდა იმუშაონ ამ საქმის მოსაწყობად, ბ-ნნი გ. ემერიკი, გ. ცერცვაძე, კ. ბაკრაძე, ჯ. იაშვილი, ბ. სოლოლიაკი, ექ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე, ბ. მოსეშვილი.

წაკითხულ იქმნა მოხსენება ბ-ნი ს. ჭიჭინაძისა ამავ საგნის შესახებ, მაგრამ სრულიად უყურადღებოდ დასტოვა კრებამ.

დიდი კამათი ასტყდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაწოდონ მუშებს თბილი, იაფი და შემრგე საჭმელი.

ბ-ნ გ. ემერიკის აზრით საკმარისი იქნება 2,000 მანეთი, რომ ჭიათურის ერთ-ერთ ხეობაში მოეწყოს სამზარეულო, გაკეთდეს 1,000 სადილი და დაურიგდეს მუშებს; თითო ასეთი სადილი ეღირება თითო შაურად; ამისათვის საჭიროა, რომ შეიძინონ ერთგვარი სამზარეულო, რომელიც თვლებზეა მოწყობილი, შიგ შეიბმის ცხენი და შეიძლებ აქეთ-იქით ტარება. ამნაირად თავად სამზარეულო ჩამოუვლის მადნის მაღაროებში მომუშავეთ და მიაწვდის ცხელს საჭმელს.

ბ-ნი ზდანოვიჩმა შენიშნა, რომ ის მანძილი, რომელზედაც მადნიანი ადგილები მდებარეობს—60 ვერსტია სიგრძითაო და, არამც თუ ერთს ცხენს, ოთხიც რომ ვიყოლიოთ, მაინც გაუჭირდებათ ყველა მაღაროს დავლა, მით უმეტეს ჭიათურის გზებითაო. ჯერ, ოთხი ცხენიც რომ ვიანგარიშოთ გამოკვებითა და ნალ-ლურსმნით, ათას მანეთამდე მარტო ეს გასჭრის წლიურადაო. თუ მოსამსახურე ბიჭებიც ვიანგარიშეთ,—მზარეული, დამტარებელი და სხვა—2,000 მანეთი მარტო ამათ არ ეყოფათო. ასე რომ, გაცილებით მეტი დაჯდება ეს საქმეო.

თავ. ბ. წულუკიძემ იოხუნჯა,—როგორც ვატყობ, თქვენი საჭმელი პირს აღარ დასწვავს მუშებსა, რადგან, ცოტა არ იყოს, შეგრილდება 60 ვერსტის გავლითაო. (სიცილი)

ბ-ნმა ჯ. იაშვილმა განაცხადა, რომ სამზარეულოს მოწყობა ისევ ყაზარმებში უნდა მოხდეს და თვით მუშებსავე მიენდოს, როგორიც ესურვებათ, ისეთი საჭმელი მოიმზადონ თავისთვის, თორემ, კიდეც რომ მოსახერხებელი იყოს ზემოხსენებული ჩამოტარება სადილებისა, რომელშიაც მუშამ თითო შაური უნდა აძლიოს, იქნებ ზოგმა არ ინდომოს ყიდვა; როგორ უნდა ივარაუდოთ, რამდენი სადილის გაკეთება დაგჭირდებათ.

გაისმა ხმები: კომისია, კომისიაო.

კრება დასრულდა 4 საათზედ.

23 იანვარი (მეხუთმეტე სხდომა).

კრება თორმეტის ნახევარზე დაიწყო, წაკითხულ იქმნა მეცამეტე ოქმი.

ბ-ნი გ. ემერიკი. სრულიად გამოტოვებულია ჩემი განმარტება თვით ამწონავ სასწორის შესახებ. გარდა ამისა დამახინჯებულია ჩემი აზრი მუშათა სამზარეულოს შესახებ; აქ ისეა ნათქვამი, ვითომ 2,000 მანეთით მე ვფიქრობდი სამზარეულოების დამართვასაც და იაფფასიან სადილების მიწოდებასაც. ეს ასე არ იყო. მე ვსთქვი მხოლოდ, თუ სამზარეულოები მოწყობილი ექნებათ, 2,000 მანეთის შემწეობა რომ აღმოვუჩინოთ კიდევ, იაფ-ფასიან სადილებსაც მივაწვდით მუშებსა-თქო. გთხოვთ ეს შენიშვნა ოქმში შეიტანოთ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ოქმში არაა სრულებით ჩემი სიტყვა თვით მწონავისა და საზოგადო სასწორთა შესახებ. მე ის აზრი გამოვსთქვი, რომ თვით მწონავ სასწორის შეძენას ჩვენ ვერავის დავავალებთ და, კიდეც რომ დავავალოთ, მწონავთა ბოროტ-მოქმედებისაგან მაინც ვერ გვიხსნის, სანამ სასწორები (თვით მწონავი იქნება იგი, თუ უბრალო) და მწონავნი საზოგადონი არ იქნებიან-თქო. სამზარეულოს შესახებ სრულიად უარ ვყავი ბ-ნ ემერიკის წინადადება, როგორც ყოვლად განუხორციელებელი. გთხოვთ ეს შენიშვნები ოქმში მოაქციოთ.

ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძე. გთხოვთ აღნიშნოთ ოქმში, რომ თავმჯდომარემ ჯერ სულ არ მისცა ბ-ნ ქვარიანს მოხსენების წაკითხვის ნება და, როცა უმრავლესობამ მოითხოვა, მოვისმინოთო, განაცხადა,—მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მოხსენების შემდეგ კამათის ნებას არავის მივსცემო; მაგრამ, როცა ბ-ნ ქვარიანმა დაასრულა მოხსენების კითხვა, ბ-ნ გ. ზდანოვიჩს მაინც მისცა სიტყვის ნება და ქვარიანს კი—არა.

ბ-ნი ს. ქვარიანი. როცა ბ-ნი თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, მოვისმინოთ, თუ არა ბ-ნ ქვარიანის მოხსენებაო,—ბევრნი წამოდგნენ ფეხზე, მაგრამ უმრავლესობა ჩემს მხარეს იყო; თავ. კ. წულუკიძე გვიშლიდა ხელსა,—ბ-ნ ქვარიანს მადლობა ვუთხრათ, მისი მოხსენება-კი ქაღალდებში ჩავაკეროთო. შემდეგ, როცა მოხსენება წავიკითხე, თავმჯდომარემ ბ-ნ ზდანოვიჩს მისცა ნება ლაპარაკისა, მაგრამ მეკი აღარ, რომ გამექარწყლებინა მისი სოფიზმები. გარდა ამისა, სრულიად არაა შეტანილი ოქმში ჩემი სიტყვა ნაფიც მწონავთა შესახებ.

თავ. ბ. წულუკიძე. რადგან ბ-ნ ემერიკის მოხსენებამ სრულიად დაგვაკმაყოფილა, მე ვსთქვი, რომ ტყუილად დავკარგავთ დროს და ახალს ვერავის ვეღარას გვეტყვის-თქო. კიდეც გამართლდა ჩემი აზრი: ბ-ნმა ქვარიანმა ჯერ ისა სთქვა თავის მოხსენებაში, რომ საჭიროა ტარიფის დაკლებაო; მაგრამ შემდეგ გვიმტკიცებდა,—არ ივარგებს ტარიფის დაკლება, შინაურს მეტოქეობას გააძლიერებს და სულ ერთიანად დასცემს ჩვენს მრეწველობასაო. რაღა საჭირო იყო ამ მოხსენების მოსმენა, ბ-ნ ემერიკის მოხსენების შემდეგ, რომელსაც არც-კი დასწრებია ბ-ჩიკვაიძე?

ბ-ნმა კ. ჩიკვაიძემ წაიკითხა მთელი ერთი თაბახი ქაღალდი ბ-ნ ქვარიანის მოხსენების შესახებ, რომელშიაც ამტკიცებდა,—ბ-ნ ქვარიანს უკანონოდ მოექცეით, უმრავლესობას არ განუცხადებია,—არ გვინდა ბ-ნ ქვარიანის მოხსენებაო; შემდეგ როცა ბ-ნ დ. ბაქრაძის თხოვნით თავმჯდომარემ ნება დართო, და ბ-ნმა ქვარიანმა წაიკითხა, ბ-ნ ზდანოვიჩს კამათის ნება მიეცით და ბ-ნ ქვარიანს, არაო, ეს ქაღალდი თავმჯდომარეს გადასცა,—გთხოვთ ოქმში შეიტანოთო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. როგორ იქნება ამოდენა განცხადებათა ოქმში შეტანა? ეს შენიშვნა—შესწორება-კი არა—მთელი ფელეტონია „Черномор. Вѣстникъ"-ისა.

ბ-ნი დ. ბაქრაძე. მე მარტო თავმჯდომარეს კი არა ვთხოვე,—ნება მიეცით ბ-ნ ქვარიანს მოხსენება წაიკითხოს-თქო,—არამედ კრებასაც, რადგან უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამისა.

ოქმი დამტკიცებულ იქმნა.

თავ. კ. გურიელი. ბ-ნო თავმჯდომარე, ორიოდ სიტყვის ნება მიბოძეთ.

თავმჯდომარე. ოქმის შესახებ?

თავ. კ. გურიელი. არა, ჩემ გრძნობათა შესახებ.

თავმჯდომარე. ეგ საქმეს არ შეეხება.

რადგან გუშინ ვერ მოასწრეს კომისიის არჩევა „მუშათა დაზღვევის" საკითხის შესამუშავებლად, თავმჯდომარემ მიჰმართა კრებას, გთხოვთ დაასახელოთ კომისიის წევრნიო.

ბ-ნი ზდანოვიჩი. გუშინ ზოგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ კერძო საზოგადოება „როსსია", რომელშიაც დაზღვეული არიან ჩვენი მუშები, ურიგოდ იქცევა, მეტად მცირე შემწეობას იძლევა, ხან მეტად აგვიანებს, და სხ. მაგალითებიც დაასახელეს, მაგრამ ის-კი არ მიიღეს სახეში, რომ დაგვიანების მიზეზნი რამდენადმე ჩვენცა ვართ—საბჭო, საავადმყოფო, თვით დაშავებული მუშები, რადგან თვით ჩვენ ვერ ვაწვდით ხოლმე დროით საჭირო

# ფელეტონი

## ჩვენის ცხოვრების ავი და კარგი.

სოფელი უდაბნოა.—საზოგადო იდეალი.—თითო-ოროლა ტალღა.—გენიოსები.—გაქალაქელება.—ჩვენი ჟურნალ-გაზეთები.—რენეგატები.—სენსაცია და სკანდალი.—ჭეშმარიტი ინტელიგენტი.—პროფესიონალი მწერალი.—იმედია თუ უიმედობა.—შორს პესიმიზმი.—წყურვილი სიცოცხლისა და წარმატებისა.—კოოპერაცია.—სურათი.

ჩვენი სოფელი საშინელს სანახავს წარმოადგენს სულიერ არარაობისას. მართალია, პოტენციალი სულიერი ენერგია, ბუნებისაგან ბოძებული ნიჭი, ჩვენს სოფლელს უხვადა აქვს მომადლებული; მართალია, ამ ნიჭს რომ ფართო გზა მისცეთ, თავის ძალას გამოიჩენს, თავის სიდიადეს დაამტკიცებს, მაგრამ დღეს-კი დამარხულია, როგორც უსარგებლო ქანქარი.

დღეს ჩვენი სოფელი აზრთა მოძრაობის მხრივ უდაბნოა. არავითარი საერთო, საზოგადო იდეალი არ აქვს დასახული სოფელს. თვითოეული სოფელი კერძო ბედნიერების სურვილით არის გამსჭვალული, პირად ანგარიშების ზღუდეს ვერ გადასცილებია, ამ ზღუდეს გარეშე ვერაფერს ვერ ჰხედავს და კიდეც რომ დაინახოს, არაფრად ეინტერესება. მოქმედობს მხოლოდ თავისთვის, მარტო, ცალკე. ფიქრნი და ზრახვანი მისნი ამიტომ ფრიად ღატაკი, უბადრუკი და მწირია.

სოფელი მზად არის, რამდენიც გნებავს, იმდენს გელაპარაკოს საკუთრად თავის თავისა, თავის მტერ-მოყვარისა, ვინ რა ავნო, ვინ რა სიკეთე გაუწია, ვინ როგორ მოექცა. თვითეულ ამბავში უთუოდ იმ ცენტრად სახავს თავის თავს, რომლის გარშემო ყველა სხვა გარემოება ტრიალებს. ამგვარი ეგოცენტრული ხასიათი ცხოვრებისა ნიშნობლივი თვისებაა იმ საზოგადოებისა, რომელიც ჯერ განვითარებული არ არის.

დაუწყეთ ლაპარაკი სოფლელს სასწავლებლისა, საერთო დუქნისა, საერთო წარმატებისა და საზოგადოდ საერთო საქმის შესახებ: დიდს ხანს ვერ გასტანს მისი მოთმინება; მალე მოჰყვება მთქნარებას, სიტყვას ბანზე შეაგდებს და სულ სხვა საგანზე ჩამოაგდებს ლაპარაკს. სამაგიეროდ, მოაყოლეთ, როგორ მოუხდა უკმაყოფილება ვინმესთან, როგორ გაგრძელდა და რით გათავდა ეს უკმაყოფილება; მაშინ აღარ მოიღალება და სიამოვნებით გეზაასება რამდენ ხანსაც გინდა.

თუმცა არა ერთად-ერთი, მაგრამ ერთი მთავარი მიზეზი ამისი არის წარმოების განუვითარებლობა. ჩვენში ჯერ არა თუ სოფელში, ქალაქშიაც წვრილი წარმოებაა გამეფებული. შრომის კოოპერაციისას ჯერ მხოლოდ ნასახს თუ ვხედავთ. თვითეული მწარმოებელი საზოგადოების გარეშე, მარტო მუშაობს პატარა საწარმოო ასპარეზზე.

აი, სხვათა შორის, ეს გარემოებაც არის მიზეზი იმისი, თუ რად არი ჩვენი ცხოვრება ასე მოდუნებული, რატომ არ არის ჩვენში ის აზრთა ბრძოლა, რომელიც ჰქმნის პროგრესს, რატომ არის ასე მცირე ის გუნდი, რომელსაცა სწამს საერთო იდეალი, და რატომა აქვს ამ გუნდს სასოება წარკვეთილი. გავუსწოროთ ჭეშმარიტებას პირდაპირ თვალი თვალში, ნუ შეგვეშინდება სინათლისა, რაც უნდა საშინელი სურათი დავინახოთ, რადგან მხოლოდ გაბედული, სასტიკი კვლევა-ძიება ჭეშმარიტებისა გვიხსნის გასაჭირისაგან.

დავუბრუნდეთ საგანს. ზემო-ხსენებულ მიზეზის გამო ჩვენს ლიტერატურაში არა აქვს ადგილი უდიდეს საქვეყნო პრობლემათა კვლევა-ძიებას. უდიდეს სამეცნიერო, საფილოსოფო და სოციალურ საგნებს ძლიერ მცირე რიცხვი ჰყავს მოტრფიალეთა ჩვენში და, ამიტომ, უფრო თეორიული ხასიათისაა ეგ საგნები, თითქო ჩვენს ცხოვრებას სრულიად არ შეეხებაო. ვინც ჩვენთაგანი მათ კვლევას ეტანება, მარტოობას ჰგრძნობს, მოწყვეტილია დანარჩენ საზოგადოებას. ზოგიერთმა ტალღამ, რომელიც ევროპის მღელვარე ზღვამ გადმოისროლა ჩვენსკენ, იდნავ შესძრა ჩვენის ცხოვრების მხოლოდ ზედა-პირი. და ის, ვინც ამ ახალმა სიომ გაიტაცა, დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მაჩანჩალაა და სხვა არაფერი.

აი ამიტომ არა გვყავს ისეთნი მოღვაწენი, რომ საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდეთ. ჩვენი ახლანდელი მწერლები რომ საფრანგეთში დაბადებულიყვნენ, ვინ იცის, შეიძლება გენიოსები ყოფილიყვნენ. საფრანგეთის საზოგადო ცხოვრება სულ სხვაფრივ იმოქმედებდა, აღზრდიდა, აღამაღლებდა მათს ცნობის მოყვარეობას, გრძნობასა და გონებას. იქ, სადაც ცხოვრება მუდამ მოძრაობს, გონებაც მუდმივ მოძრაობაშია; იქ, სადაც ცხოვრებას წამოუყენებია უდიდესი საკაცობრიო ჭირბოროტი, გადასაწყვეტი საგნები და პრობლემები, ადამიანის გონებას ეძლევა ფრიად ძლიერი იმპულსი და რთული მასალა, დაუშრეტელი წყარო მოქმედებისათვის.

ესევე შეიძლება ითქვას ყოველ სხვა გვარ საზოგადო მოღვაწეთა შესახებაც.

ამ გვარად, გენიოსს, საზოგადო მოღვაწეს ჰქმნის გარემოება, ცხოვრება. პოტენციალი გენიოსი ყოველს ერს ბევრი ჰყავს. ქართველი ერიც, შემქნელი წარსულში მრავალ დიდებულ მოღვაწეთა, ვერ დაემდურება ამ მხრივ ბედს. დიახ, ჩვენშიაც ბევრია ისეთი უჩინარი კაცი, რომელიც დიდს სახელს მოიპოებდა სხვა გარემოებაში, და ჩვენი სიმწირე ამ მხრივ ჩვენს ბუნებითს ნაკლს არ მიეწერება. მიზეზი გარეგანია, ე. ი. თვით ჩვენის ცხოვრების გარემოებაა.

ხსენებულ მიზეზსავე უნდა მიეწეროს ისიც, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ასე ცოტა ჰყავს ხელის მომწერი. ბევრია ისეთი გლეხი, რომ გაზეთის დაბარება შეუძლია, მაგრამ არ იბარებს, რადგან საერთო საქმისა არა სწამს-რა. ქუთაისის გუბერნიაში, მადლობა ღმერთს, ვაჭართა უმეტესობა ქართველები არიან. მაგრამ ამათ შორისაც გაზეთს მხოლოდ თითო-ოროლა თუ იბარებს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ვაჭრები აგერ ახლა გამოვიდნენ სოფლიდან, ჯერ კიდევ არ გაქალაქებულან. იგინი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ჩვენის სოფლის გულ-გრილობისაგან საზოგადო საქმისათვის და მხოლოდ პირადის ბედნიერების იდეალს ეტრფიან. საზოგადო საქმე ჯერ არც მათვის სუფევს.

დიაღ, ყოველივე ესე თუმცა სამწუხაროა, მაგრამ მისი სინამდვილე ცხადია, ვითარცა დღე, და რომ ასე არ იყოს, რომ ჩვენის ერის უმრავლესობას საზოგადო საქმე მიაჩნდეს რამე, მაშინ ჩვენი ლიტერატურაც უფრო მდიდარი იქნება, მწერლებიც უკეთესი გვეყოლება და უფრო დაფასებულნიც.

ესევე შეიძლება ითქვას ჩვენის ინტელლიგენციის დიდ-ძალ ნაწილის შესახებ. მე მოგახსენებთ ჩვენის ინტელლიგენციის იმ ნაწილზედ, რომელიც ვითომ და კოსმოპოლიტობს და უარ-ჰყოფს ქართულ ლიტერატურას, რადგან ვითომ ეს ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს მის განვითარებულ სულიერ მოთხოვნილებას. რასაკვირველია, ამისთანა ინტელიგენტი ამიტომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და, საზოგადოდ, ქართულ წიგნებს არ კითხულობს.

ვინც იცნობს ამ რენეგატებს, დამერწმუნება, რომ მათი ზნეობრივი სიმახინჯე განუსაზღვრელია. სტყუიან, ვითომ იმათ ევროპის ცხოვრება აინტერესებდეს და ამიტომ გაურბოდნენ ჩვენს ლიტერატურას. მათ აინტერესებს ევროპის ცხოვრების მხოლოდ ისეთი კერძოობა, რომელსაც საზოგადო საქმესთან შორეული კავშირი აქვს, ესე იგი სასენსაციო ამბები და სკანდალები.

თუ კაცს საქვეყნო საქმე სწამს, უთუოდ თავის მშობელ ქვეყნის ცხოვრებაც ეინტერესება, მაშასადამე, ვერც მის ლიტერატურას აუქცევს გვერდს, რადგან ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, მისი ავისა და კარგის მაჩვენებელი. რა ვუყოთ, თუ ამ სარკემ ავი მეტი დაგვანახვა, ვიდრე კარგი; თუ ჩვენ მეტისმეტად ავმაღლებულვართ, მით უფრო ვალდებულნი ვართ, ჩვენი ცხოვრება ჩვენამდის ავამაღლოთ. კერძოდ რენეგატების შესახებ მოგახსენებთ, რომ იგინი სულიერად ამაღლე-

ცნობებს საზოგადოებას. გუშინ აქ დასახელებულ უბედურ შემთხვევათა გარდა, 20 საქმე კიდევ წარმოებაშია, ჯერ არ გათავებულა და ვიმედოვნებთ, რომ ყველანი დაკმაყოფილებულნი იქმნებიან. როგორ იქნება ყველაფერი საზოგადოებას დავაბრალოთ, როცა ჩვენ 3—4 თვეობით ვეძებთ ხოლმე იმ მუშებს, რომელნიც დაშავების შემდეგ საავადმყოფოში იყვნენ, მაგრამ აღარ მოიცადეს, გამოეწერნენ და შინ წავიდნენ; თუ დაშავების შედეგი არ გავიგეთ, ისე ვის-რა უნდა მოვახოვოთ? სწორედ ეს დაშავების შედეგის უცოდინრობა მიზეზი, რომ საზოგადოება საზღაურის გადახდას აგვიანებს.

ამბობენ, საურთიერთო დაზღვევა უნდა შემოვიღოთო, მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკიც-კი მეტია; როგორი ურთიერთობა უნდა იქმნეს, ვის შორის? თუ საბჭომ თავის თავზედ იდვა ეს საქმე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ერთი-ორად მეტი დაეხარჯება, ვიდრე აქამდე ეხარჯებოდა.

ექ. ჭიჭინაძე. გუშინ იმიტომ გამოვეკამათე ბ-ნ ზდანოვიჩს, რომ ხელთ მქონდა საბჭოს საბრალო (жалкій) მოხსენება, და იქიდგან ამოვკრიბე ცნობები. რასაც ეხლა ბ-ნი ზდანოვიჩი ამბობს, პირველად მესმის; იქ ამგვარი არა არის-რა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ექ. ჭიჭინაძე, რომელიც ასეთის რიხით ლაპარაკობს, საქმეს რომ იყოს გაცნობილი, ისიც ეცოდინებოდა, თუ რამდენი მიწერ-მოწერა აქვს საბჭოს ამ საქმეების შესახებ. საბჭოს ანგარიშში ვერა ვნახე-რაო; რასაკვირველია, როცა კაცი ერთგვარის გრძნობითაა შეპყრობილი, ის ვერარასა ჰხედავს, თორემ იმ მოხსენებაში აღნიშნულია ყოველივე. ბატონი ექიმი საბჭოს საყვედურებს უბნება და კითხვაც-კი არა სცოდნია, თორემ მოხსენებაში ჩამოთვლილია ყველა ის უბედური შემთხვევები, რომელთა შესახებ საქმე ჯერ არ დასრულებულა (ტაში).

ექ. ჭიჭინაძე. თუ იცოდით, რატომ გუშინ არ გვითხარით, მაგრამ თქვენ თავათ არ იცოდით, რადგან ამისთვის მოცალეობა აღარა გაქვთ, გარეშე საქმეებში ხართ გართული.

კრება პირველის ნახევარზე შესწყდა კომისიის წევრთა დასასახელებლად.

კრების განახლებისათანავე არჩეულ იქმნენ კომისიაში: ბ-ნნი ზ. ოჰანეზოვი, თავ. ი. ნიჟარაძე, ვ. ძოწენიძე და კ. ბაქრაძე.

თავმჯდომარე. ამ კომისიამ საბჭოსთან ერთად უნდა შეიმუშაოს მუშათა დაზღვევის პროექტი და წარმოადგინოს იმ დრომდე, სანამ საზოგადოებას „როსსია“-ს ვადა გაუვა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. გთხოვთ, თუ კომისიამ რაიმე შეიმუშაოს საბოლოოდ იმ დრომდე, სანამ ვადა გაუვა „როსსიას“, მისი ახალი დადგენილება დროებით იქმნეს მომავალ მორიგ კრებამდე, რომ თვით კრებამ განიხილოს იგი.

თავმჯდომარე. ეხლა განვიხილოთ § 8 (შავი-ქვის მრეწველთა კრებების წესდების ზოგიერთ §§ შეცვლის საქმე). პროექტი უკვე წარდგენილია საბჭოს მიერ.

მდივანი შეუდგა პროექტის კითხვას, რომელსაც სათაური აწერია: „წესდება კავკასიის შავი-ქვის მრეწველთა კრებისა“.

ბ-ნი ზდანოვიჩი. სიტყვა „შორაპნის“ იმიტომ შევსცვალეთ სიტყვით „კავკასიის“, რომ უფრო ვრცლად აღგვენიშნა შავი-ქვის მიდამო; გარდა ამისა შორაპანში არავითარი შავი-ქვა არაა; ჭიათურაც უხერხულად გვეჩვენა, რადგან მის გარეშე სოფლებშიაცაა შავიქვის წარმოება, მაგ., შუქრუთსა, რგანსა, პერევისას და სხ.

ბ-ნი გ. ემერიკი. ჩემის აზრით, უმჯობესია ისევ ძველი სახელწოდება დარჩეს, თორემ ახალი — „კავკასიის“ — მთელს კავკასიას შეიცავს, სადაც ჩვენის მადნების გარდა კიდევ მოიპოვება შავი-ქვა (ყაზახის მაზრაში, ფოთის მიდამოებში და სხ.), და შეიძლება სხვა ადგილებშიაც აღმოჩნდეს. როდესაც იმ ადგილებში წარმოება დაიწყება, შეუძლიანთ ისარგებლონ ამ სახელ-წოდებით, „კავკასიის შავი-ქვის მრეწველნი“ და წილი დაიდონ ჩვენს საქმეებში. ჩვენ-კი რა ხელს მოგვცემს მათთან ერთობა? მანათს წაიღებენ და ფარას მოგვცემენ. უმჯობესია, ძველი სახელ-წოდება დარჩეს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ჩვენ-კი არ უნდა გავურბოდეთ იმათ, პირ-იქით—მიამხრობას უნდა ვსცდილობდეთ. თუ რასმე წაიღებენ, სამაგიეროსაც მოგვცემენ. ამის შიში სრულიადაც არ უნდა გვქონდეს.

ექ. ჭიჭინაძე. შავი-ქვის წარმოება ჯერ მხოლოდ შორაპნის მაზრაშია, სხვას არ შეეხება; რად უნდა შევსცვალოთ სახელწოდება „შორაპანი „კავკასიით.“?

გადასწყდა ახალი სახელ-წოდება—„კავკასიის“—დარჩესო.

§ 1-ში დასახელებულია, რომ მრეწველთა კრება მარტში უნდა ხდებოდესო.

ბ-ნი გ. ემერიკი. რადგან მარტში აღდგომა უწევს ხოლმე, სჯობია პირდაპირ დავასახელოთ პირველი რიცხვი მარტისა.

ბ-ნი ზდანოვიჩი. დღეც რომ დავნიშნოთ, მეტად შევავიწროვებთ მრეწველთ.

ხმები: აპრილში... მაისში.. იანვარში.. თებერვალში.

მცირეოდენ კამათის შემდეგ გადასწყდა, რომ კრება თებერვალში უნდა მოხდეს ხოლმე.

ბ-ნი გ. ემერიკი. უნდა შეიცვალოს § 2-ში „სტატისტიურ ცნობათა შესამუშავებლად“, სიტყვებით „სტატისტიურ ცნობათა მოსასმენად და შესამოწმებლად“ და სრულიად უნდა გამოვტოვოთ დასასრული ამ §-ისა, რადგან შემდეგ §§-შია იგივე განმეორებული.

დიდი კამათი გამოიწვია პროექტის § 6-მ, სადაც მრეწველთა კრების ნამდვილ წევრის უფლება ეძლევა მადნის შემმუშავებელს, გამზიდველს და ექსპორტიორს. (добывающіи, вывозящій и экспортирующій).

ბ-ნი ფ. კიკნაძე. რატომ არაა ნამდვილ წევრთა შორის მოხსენებული მადნის მეპატრონეც?

ბ-ნი ზდანოვიჩი. ის მეპატრონე მადნისა, რომელიც თავად არ მუშაობს, არაა მრეწველი.

თავ. ს. დ. წერეთელი. მაგრამ იმათაც ხომ ახლო დამოკიდებულობა აქვთ შავი-ქვის მრეწველობასთან? ვგონებ, რომ იგინიც ნამდვილ წევრად უნდა იქნენ მიღებულნი. ეს მეტად საჭიროა.

ბ-ნი გ. ემერიკი. ამ §-დგან უსათუოთ უნდა გამოვრიცხოთ სიტყვა „გამზიდველნი“, რადგან მათ საერთო არა აქვთ-რა შავი-ქვის მრეწველობასთან, მხოლოდ ყველასათვის საზარალო შუამდგომლობას ეწევიან. ვიმეორებ, იგინი ყველასათვის ხორცმეტნი არიან; ჩვენ იმათ ხელს-კი არ უნდა ვუწყობდეთ და სხვა-და-სხვა უფლებას-კი არ უნდა ვაძლევდეთ. პირ-იქით, ყოველის ღონის ძიებით უნდა ვსცდილობდეთ, რომ სრულიად მოვიშოროთ იგინი თავიდგან. იგინი ალბად, მიტომ მოუქცევიათ პროექტში რომ ხელი შეუწყონ დას-დასობას, განხეთქილება ჩამოაგდონ ექსპორტიორთა და შემმუშავებელთა შორის. წესდებაში-კი ამგვარ აზრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს მხოლოდ ექსპორტიორთა წინააღმდეგაა მიმართული.

ექ. ჭიჭინაძე. იმ კაცებს, რომელნიც ჭიათურაში ყიდულობენ მადანს და ფოთსა, ან ბათუმში ასაღებენ, არ ეკუთვნის მრეწველთა წევრის უფლება. იგინი სრულიად უნდა განიდევნონ, რადგან მეტი ბარგია შავი-ქვის მრეწველთა საქმეში.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ვერ ვეთანხმები წინა ორატორთ, რომელნიც რაღაც ცუდს განზრახვას ჰხედავენ, დას-დასობაზე ლაპარაკობენ. რა მოსატანია აქ დას-დასობა? თუ რაიმე არსებობს და მის არსებას ესა, თუ ის მოთხოვნილება აქვს,—ჩვენ მოგვწონს, თუ არ მოგვწონს, ის მაინც თავისას გაიტანს; ნებით არ მისცემ უფლებას, ძალით წაგართმევს. ჩვენს მოწონებაზე და არა მოწონებაზე არაა დამოკიდებული ყოველივე.

იქნებ ექ. ჭიჭინაძეს არ მოეხსენებოდეს, თორემ ბ-ნ ემერიკმა კარგად უწყის, რომ ძმა ოჰანეზოვები დიდი მწარმოებლები არიან შავი-ქვისა. მესამე კრებაზე თვით მათ აღძრეს ეს საკითხი, რადგან ხმა არ მისცეს,—თქვენ ექსპორტორნი არა ხართო.

თუ გნებავთ გადამზიდავთა განდევნა, თვით ცხოვრებიდგან განდევნეთ; თუ-კი ეს არ ძალგვის,—ანგარიშიც უნდა გავუწიოთ. ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, რომ ასე არ მოვექცეთ.

ზოგნი რომ იძახიან,—ეს მიდგომაა, დას-დასობააო,—მერწმუნეთ, ვინც უფრო ხშირად გაიძახის ამას, ის უფრო შეპყრობილია ამ სენით. (ტაში).

ბ-ნი გ. ემერიკი. ბ-ნ ზდანოვიჩმა ბრძანა,—არსებობს გადამზიდველთა კატეგორია და ანგარიში უნდა გაუწიოთო; ჩემის აზრით, მათის არსებობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამისათვის იმას-კი არ უნდა ვსცდილობდეთ, მათ უფლება-უპირატესობა მოუპოვოთ, პირიქით, უნდა მოვსპოთ სრულიად ეს მავნე ელემენტი. ვისთვისაა საჭირო, რომ ექსპორტიორთა ახალი კლასსი შევქნათ?

ბ-ნი ს. ქვრიანი. როგორც სამართლიანად განმარტა დიდად პატივცემულმა გუსტავ გუსტავის ძემ, გადამზიდავნი მეტად მავნე ელემენტია შავი-ქვის წარმოებაში. საჭიროა სრულიად განვდევნოთ, აღმოვფხვრათ ეს კლასსი.

ბ-ნი ზდანოვიჩი. როგორც ვხედავთ, არავინ არ უარ ჰყოფს, რომ არსებობს გადამზიდავთა კლასსი; მხოლოდ მეუბნებიან,—ანგარიშს-კი ნუ გაუწევთ,—თავიდგან მოვიშოროთ, განვდევნოთ, დავსაჯოთო. ერთი მიბრძანეთ, ჩვენ რა ზნეობრივი მეცნიერებათა აკადემია ვართ?!

ექსპორტიორი, ექსპორტიორიო,—ისეთის რიხით ლაპარაკობენ, თითქოს იგივე გადამზიდავი, ანუ უკეთა ვსთქვათ, ჩარჩი, არ იყოს. თუ ვინმე ჭიათურიდგან მარტო ფოთამდე, ან ბათუმამდე ეზიდება მადანს, თურმე საძრახისი ხელობაა, ჩარჩობაა. ფოთიდგან როტერდამამდე და ისიც სხვის (ბანკის) ფულით კი—ექსპორტიორობა—ხელობა ყოვლად პატიოსანი. (ტაში).

ნეტავ გამაგებია, რად უნდა ვაძლიოთ ექსპორტიორებს კეთილშობილობის პატენტი? განა მხოლოდ იმიტომ, რომ იგინი ფოთიდგან როტერდამს ეზიდებიან ქვას და არა ჭიათურიდგან ფოთს? არა, ბატონო, აქ სახელწოდება არაფერ შუაშია, ექსპორტიორი იგივე ჩარჩი გახლავთ, და ეს ხელობა ყველგან და ყოველთვის ერთნაირადაა საძრახისი, თუ მოსაწონი. (ტაში)

სწორედ მოიცავს გამოცდილ იურისტის ბ-ნ ემერიკის სიტყვები. ექსპორტიორები მხოლოდ იგინი არიან მისის აზრით, რომელნიც ჭიათურიდგან წაღებულ მადანს პირდაპირ გემებზე სცლიან. და თუ იმავ ჭიათურიდგან წაღებული მადანი ვინმე იქვე, ფოთში, ბაქანზე დაჰყარა,—ის უბრალო გადამზიდავია—ანუ ჩარჩი. არა, ეს უსამართლო აზრია.

ყოველი წესდება, თუ კანონი ცხოვრებას უნდა ეთანხმებოდეს და არა ზოგიერთთა სურვილს. არც საჭიროა და არც არავის გამოადგება, რომ წესდების მაგივრად ზნეობის ტრაქტატები ვსწეროთ. (ხანგრძლივი ტაში).

ბ. ზ. ოჰანეზოვი. სწორედ მე თვითონ აღვძარი ეს საკითხი მესამე კრებაზე; 6 მილიონი ფუთი მადანი მქონდა, 4 მილ. ფოთს გადავზიდე და გავყიდე. ვისაც მადანი მივყიდე, იმას კი მისცეს ხმა და მე კი არა, თუმცა მაშინ 20,000 მანეთი შევძინა მრეწველთა საბჭოს ჩემის ჯიბიდგან. დიდი უსამართლობა იქნებოდა, რომ მადნის შემმუშავებელნი და გადამზიდავნი ე. ი. რომელნიც ჭიათურიდგან ჰგზავნიან მადანს, უყურადღებოთ დაგვეტოვებია, რადგან სწორედ იგინი იხდიან $^1/_2$ კ გადასახადს და ექსპორტორებიც იგინი არიან.

ბ. გ. ემერიკი. არავის არ შეუძლია ისეთის მოხერხებით რომელისამე საკითხის დამახინჯება, როგორც ბ. ზდანოვიჩს.

მისი შედარება ექსპორტიორისა და ჩარჩისა არაფრად არა ღირს, ყურადღების ღირსიც არაა. ჯერ ერთი, რომ ექსპორტორი მეტ სასყიდელს იძლევა მადანში, ვიდრე ჩარჩი, მეორეც ისა, რომ წონასა და ზომაში ხომ მაინც არ გატყუებს. ვიმეორებ, რომ ეს ჩარჩები მეტად მავნე ელემენტია და დიდი ახირებულობა იქნება ჩვენის მხრით, რომ მათ ხმა მივცეთ მრეწველთა კრებებზე.

ბ. გ. ზდანოვიჩი. მე ბ. ოჰანეზოვის აზრს ვუერთდები; ექსპორტიორი ისაა, ვინც მუშაობს და ეზიდება მადანს. მაშ ზემოხსენებულ §-ში ასე უნდა შეიცვალოს სიტყვები „შემმუშავებელი, გადამზიდი და ექსპორტიორი“—შემმუშავებელნი და გადამზიდნი გასაგზავნ სადგურებიდგან.

ხმები: საჭირო აღარაა კამათი, სწორედ ასე უნდა იყოს.

ეს ცვლილება დიდის უმრავლესობით მიღებულ იქმნა.

ბ. გ. ზდანოვიჩი. თუმცა ზესტაფონიდგანაც იგზავნება მადანი, და იგინი $^1/_2$ კაპ. გადასახადს არ იხდიან, მაგრამ უკვე აღძრულია შუამდგომლობა მინისტრის წინაშე, რომ იმათაც იხადონ ზემოხსენებული გადასახადი მრეწველთა სასარგებლოდ. იმედია, ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, მანამდე-კი ეს ახალი ცვლილება მხოლოდ ჭიათურას, ჭიქაურასა და დარკვეთს შეეხება.

# ჩვენებური ამბები

**სოხუმი.** როგორც საზამთრო და საბანაო კურორტი სოხუმს პირველი ალაგი უჭირავს შავი ზღვის ნაპირად მდებარე კურორტთა შორის. აქაურს ჰავას და სუფთა ზღვას ბადალი არსადა აქვს. ყბად აღებული ციებაც ჩქარა საზღაპრო ამბად დარჩება, თუ ქალაქში სისუფთავე იქნა დაცული. ეს არის რომ სოხუმში უფრო ბევრი ავადმყოფი მოეშურება ვიდრე სხვაგან, მაგრამ ქალაქის კეთილმოწყობილება იქამდის დაქვეითებულია, რომ სოხუმი ჩქარა შეიქნება იძულებული სხვას დაუთმოს ეს უპირატესობა და, მგონია, დაუთმო კიდევაც.

ამ მხრივ ყველაზე დიდს მეტოქეობას სოჭი და გაგრი უწევს სოხუმს. ისინი ენერგიის მქონე მზრუნველების წყალობით დღითი დღე იზრდებიან და სოხუმი-კი კიბოსავით უკანა და უკან მიდის. ან-კი რა გასაკვირველია? სხვა ქალაქები, როცა თითონ არა აქვთ სესხს იღებენ და ისე აუმჯობესებენ ქალაქს და ჩვენს ქალაქის გამგეობას ფული აქვს, მაგრამ მოხმარება-კი არ შეუძლიან. აი მაგალითად, საბჭოს მიერ ამ ერთის წლის წინად გადადებული ფული ქუჩებისა და თხრილების შესაკეთებლად ჯერ კიდევ ხელუხლებლადაა და ასევე ხელუხლებლად გარდასცა მოურავად ყოფილმა დიმიტრიევმა მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს კორჩიცს.

ხალხი ტალახსა და მტვერში იხრჩობა, ყოველგან უსუფთაობაა გამეფებული და ჩვენი გამგეობა-კი მის მაგიერ, რომ რამე წამალი დასდოს ამ ფრიად საგრძნობელს ნაკლს, ყუთში ჰკეტავს ამ საგნისათვის გარდადებულს ფულს იმ ჭკუის კოლოფ მონასავით, რომელმაც მიწაში დაფლა მიბარებული ქანქარი.

წელს საზამთროდ ძალიან ცოტა ავადმყოფია ჩამოსული, ამ მიზეზით ძალიან დაცემულია ვაჭრობა. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მშვენიერი მზიანი თბილი დღეები დადგა. ხეებზე იშლება კოკორი.

მექი.

# კავკასია

დაღისტნის ოლქის გენერალ-გუბერნატორს ნება დაურთავს, ქალ. დერბენტში გაჰმართონ სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** ოსმალეთის მდგომარეობას თანდათან განსაცდელი მოელის. საქმე თანდათან მწვავდება და ნუგეში-კი არსაიდანაა. ახალი მთავარი ვეზირი ფერიდ-ფაშა ისევ რუმელიის ვილაიეტის კომისიის თავმჯდომარედ ითვლება; არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა, და ვინ იცის, იქნება არც შემდეგში მოხდეს, გარდა

---

ბულნი კი არა, დამდაბლებულნი არიან. ბუნება ერთგვარად აღმოაცენებს ვარდსა და ეკალს, აგრეთვე ცხოვრებაც ერთსა და იმავე დროს კეთილშობილსაც ზრდის და ბილწსაც.

ყოველ ამის გამო ჩვენს ლიტერატურას ძლიერ მცირე გავლენა აქვს ჩვენს საზოგადოებაზე. ლიტერატურას ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია შესაფერი ადგილი, საზოგადო ძალა. ჩვენს საზოგადო მოღვაწეთაც-კი არ მიაჩნიათ სავალდებულოდ, რომ მწერლობის ხმას ყური უგდონ. თუ მაგალითად, რომელსამე კომისიას ჰქონდეს ამა თუ იმ საზოგადო საქმის გადაწყვეტა, კომისიის წევრნი ძლიერ ძვირად მიიღებენ ხოლმე მონაწილეობას მწერლობაში ხსენებულ საქმის გამოსარკვევ-გადასაწყვეტად. მათთვის ისიც საკმაოა, რომ საზოგადოება ენდო; ეს გარემოება აძლევს მათ საბუთს, ყველაზე მაღლა დააყენონ თავი, სხვებს თავისი აზრები არ განუზიარონ და თავიანთ გონების იდუმალი ნაწარმოები ქურუმივით ამცნონ საზოგადოებას.

როდის იქნება, რომ ამ გულ-საკლავ სამწუხარო მოვლენას მოეღოს ბოლო. როდის იქნება, ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა შეიგნონ, რომ მწერლობა არის აზრთა ცენტრი, ფოკუსი, რომ ჭეშმარიტება მაშინ უფრო ადვილად გამოირკვევა და გამოჩნდება, როდესაც კრიტიკის ქარ-ცეცხლს განიცდის?!

რაც შეეხება ჩვენს მწერლებს, ყველამ უწყის, რომ საზოგადოებაში მათ უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. თუ მწერალი მდიდარია, ან მოხელე, ან თვით მმართველობის წევრი, ან რომელისამე სავაჭრო ამხანაგობის წარმომადგენელი, მაშინ, რასაკვირველია, პატივიც დიდი აქვს; პროფესსიონალ მწერალს, გამოტეხილი მოგახსენოთ, დიდად არაფრად აფასებენ ჩვენს საზოგადოებაში. ამ გარემოების უახლოესი მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენის საზოგადოების მოქალაქობრივი განუვითარებლობაა და ერთი ღრმა მიზეზთაგანი კი ის არი, რომელიც უკვე ზემოდ აღვნიშნე, ე. ი. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა.

რაც შეეხება ჩვენის მწერლების ნივთიერ მდგომარეობას, ამის შესახებ ბევრი წერა საჭირო არ არის: ჩვენი პროფესსიონალი მწერლები პროლეტარები არიან. ამიტომ ლიტერატურულ შრომას გაურბიან; მწერალნი იძულებულნი არიან, სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი და მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას თავის პირდაპირ მოწოდებას ვერ ახმარებენ.

ძნელია, ამგვარ მწერლის სულიერი მდგომარეობა! როგორც ტარიელი იტანჯებოდა ნესტან-დარეჯანის უნახაობით, ისე ჩვენი მწერალი იტანჯება სულიერად, რომ თავის სატრფოს—ლიტერატურას შორიდგან ემსახურება და არ შეუძლიან მთლად თავისი სული—გული, თავისი განუზომელი სიყვარული ანაცვალოს. ამ დიდს სულიერ ტანჯვას გაიგებს მხოლოდ ის, ვინც მწერალია მოწოდებით.

ყოველისავე ამის შემდეგ უნდა წარვიკვეთოთ თუ არა იმედი?! უკეთეს მერმისს არ უნდა მოველოდდეთ? დღეს თუ ჩვენს გარეშემო წყვდიადს ვხედავთ, სინათლე აროდეს არ გვეღირსება? შემცდარია, ვინც ასე ფიქრობს. შემცდარია, ვინც ჩვენის ცხოვრებაში მარტო ავს ხედავს და კარგს-კი არა. ცალკერძი აზრი გონების სიბრმავის მომასწავებელია.

ხალხის ცხოვრება შეუძლებელია ცალ-კერძი იყოს. სიავეს სიკარგეც ყოველთვის და ყოველგან თან ახლავს. უამისოდ სიცოცხლე შეუძლებელი იქმნებოდა.

ჩვენს ცხოვრებაშიაც ნიშნები პროგრესსისა, წინსვლისა ადვილად შესამჩნევია. ავიღოთ ყველაზე უმალ ის გარემოება, რომ წყურვილი სიცოცხლისა, ცხოვრებისა, ეს ერთადერთი მიზეზი არსებობისათვის ბრძოლისა, ქართველს ერს არავიზე ნაკლებად არა აქვს. ჩვენი ერი საღია ჯანით და სულით, ენერგია მისი ძლიერია.

ეს ენერგია სიცოცხლისა გამოიწვევს ერის გამრავლებას. ენერგიული ერი სარჩოს ყოველთვის იშოვის. ვერავითარი დაბრკოლება ვერ გადაეღობება წინ ამ სტიქიონურს მოვლენას, ე. ი. ხალხის გამრავლებას, რომელიც არის ერთი მთავარი მიზეზი პროგრესსისა.

თავ-მოყვარეობა,—მე არ მოგახსენებთ სნეულ თავ-მოყვარეობაზე—ნიშანია სიცოცხლის სიყვარულისა. იგი დაუშრეტელი წყაროა მუდმივის, მოუსვენარის მოქმედებისა პროგრესსის გზაზე. თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, როგორც სულიერად, ისე ხორციელად, მხოლოდ ის ცდილობს, ვისაც სიცოცხლე უყვარს. შრომის-მოყვარეობა, ბეჯითობა ჩვენის ხალხისა განსაცვიფრებელია. ამის უარ-ყოფა შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც არ გვიცნობს.

ჯანისა და სულის სისაღე და თავ-მოყვარეობა, სიცოცხლის სიყვარული,—აი ის საფუძველი, რომელზედაც აშენდება ჩვენი მომავალი ბედი. ის ერი, რომელსაც ხსენებული ღირსება აქვს, შეუძლებელია არ აღორძინდეს. ერთმა და ორმა შეიძლება იმედი დაჰკარგოს, მაგრამ ერი, რომელსაც სიცოცხლე სწყურიან, თავის დღეში სასოწარკვეთილებას არ მიეცემა, რაც უნდა გასაჭირში იყოს ჩავარდნილი. პესსიმიზმი არის ნიშანი სიცოცხლე-გამოლეულ, სულით დაცემულ, დაღლილ საზოგადოებისა, რომელსაც ენერგია შრომისა აღარ მოეპოვება.

ამგვარად, წინ-სვლა, პროგრესსი აუცილებელია. როგორც მდინარის სვლას ვერა შეაკავებს-რა, ისე ამ სტიქიონურს პროცესს ვერა გადაეღობება-რა წინ. ერი თავის კულტურულ ძლევა-მოსილ წინსვლის დროს ყოველსავე დაბრკოლებას გადალახავს. თუმცა გზა ძნელი გასაკაფავია და სახიფათო, მაგრამ სამაგიეროდ მომკალთა მარჯვენა ძლიერი და მადლიანია, გონება—ფხიზელი და მახვილი.

შრომის-მოყვარეობაა ის საფუძველი, რომელიც გააუმჯობესებს ჩვენის ერის ეკონომიურ ვითარებას. მიწათმოქმედებაში, როგორც მრეწველობაში, წესი წარმოებისა შეიცვლება დღევანდელ ტეხნიკის თანახმად. დღევანდელი ტეხნიკა-კი დამყარებულია შრომის გაერთიანებაზე, კოოპერაციაზე. შრომის გაერთიანებას თავის მხრივ მოჰყვება საზოგადო საქმის სიყვარული, საერთო იდეალი. ერი გამოვა ბარბაროსობიდგან და გადადგება განათლების ხანაში.

შეერთებით, კოოპერაციით შრომა, კაპიტალისტურ ნიადაგზეა დამყარებული თუ არა, აი ის ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალობს ინტენსივური ცხოვრება. ამიტომ უნდა თანავუგრძნოთ ტეხნიკის პროგრესს. აი, ამიტომ არის სასურველი კაპიტალიზმის დამყარება ჩვენს ქვეყანაში. ამიტომაც უნდა თანავუგრძნოთ ყოველ გვარ საეკონომიო ამხანაგობათა დაარსებას.

ადრე თუ გვიან ჩვენი ვაჭრებიც შეიგნებენ თავის მოთხოვნილებას, საჭიროებას, და უკუაგდებენ მოქალაქობრივ ინდიფფერენტიზმს, გულგრილობას.

რენეგატ-ინტელიგენტობის რიცხვიც დროთა ვითარებით შემცირდება და საზოგადოდ ინტელიგენცია უკეთ შეასრულებს თავის დანიშნულებას.

წერა-კითხვის მცოდნეთა, ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა, შეგნებულ კაცთა რიცხვი გამრავლდება.

მწერლობას მნიშვნელობა მოემატება და მწერალთაც ბედი გაუღიმებს.

ერთის სიტყვით, ხალხის გამრავლებას თან მოჰყვება კულტურის ამაღლებაც. ერი გაძლიერდება და განათლდება.

ეს პროცესსი აუცილებელია, როგორც ბუნების კანონი. ამას ჰმოწმობს ცხოვრების სვლა, გვიმტკიცებს ყველა გარემოების პირუთვნელი განხილვა.

მართალია, მზე ჯერ შორს არის, კარგად ვერ გვათბობს და ვერ გვინათებს, მაგრამ ზამთარი წინამორბედია გაზაფხულისა. და, როგორც გაზაფხულს მზის მაცოცხლებელი სხივები უთბობს ბუნებას გულს, ოდესმე ახალი ცხოვრებაც ასევე გაათბობს და გამოამთელებს ქართველის გაცივებულ-დაწყლულებულ გულს.

ვასილ წერეთელი.

იმისა, რომ ბალკანეთის სისხლის ღვრას დასასრული არა აქვს...

ოსმალეთის გაზეთები ყოველ დღე სწერენ გასაუმჯობესებულ ღონისძიებათა შემოღების შესახებ რუმელიაში, მაგალითად,—ჟანდარმერიის ორგანიზაციასა, საზოგადო საქმეთა, გზათა და მრავალ სხვაზედ, მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდზედ არსებობს და არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ გამოცემულ იქმნას ახალ გაუმჯობესებული, ცხოვრებასთან შეფარდებული კანონები და გაუქმდეს კანონები, რომელთაც ვადა გასვლიათ, შეუფერებელნი არიან და ცხოვრების მოთხოვნილებათ ვერ აკმაყოფილებენ. მაგრამ ეს შეუძლებელია, სანამ ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება თითონ ოსმალეთის მართვა-გამგეობის სისტემა და წესები. ვერც საიდ-ფაშა და ვერც ფერიდ-ფაშას ვერ ძალუძსთ ცხოვრების მიმდინარეობას გზა აახვევიონ.

მსაჯულებად რუმელიაში იურიდიულ სკოლის დიპლომიან შეგირდებს ნიშნავენ; მაგრამ შეუძლიათ-კი ამ ახალგაზრდა ყმაწვილებს თავის დანიშნულება და მოვალეობა ღირსეულად შეასრულონ, როდესაც არავითარი პროფესიონალური და პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება არ მოეძევებათ? ესეც რომ არ იყოს, ოსმალეთის ახალ-გაზდა მოხელენი ზნეობრივად გაცილებით დაბლა სდგანან წინანდელებზედ. ესევე ითქმის ჟანდარმთა მმართველობის შესახებაც.

პირველ ყოვლისა, ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ გუბერნატორები და ვიცე-გუბერნატორები დამსახურებისა და მოღვაწეობის მიხედვით უნდა ინიშნებოდნენ და არე ისე, როგორც დღეს არის, —როცა გუბერნატორობას, ვიცე-გუბერნატორობას და ყოველგვარ მოხელის თანამდებობას ფულითა და ქრთამით იძენენ.

მაკედონიის საქმესთან ერთად თავი წამოჰყო ალბანიის საკითხმაც, რომ ოთხი წლის განმავლობაში მაკედონია მხოლოდ ზოგიერთ რეფორმის შემოღებას თხოულობდა; დღეს-კი მთელი მაკედონიის ხალხი ერთავად დამოუკიდებლობას (ავტონომიას) თხოულობს, არც ბულგარიას სძინავს ამ დროს, მანაც მხარი მისცა მაკედონიის მოძრაობას და თითონაც წარადგინა სხვა-და-სხვა მოთხოვნილებანი.

— ამ დღეებში გარდაიცვალა ოსმალეთის ახალ გაზდათა ჯგუფის წარმომადგენელი დამად-მაჰმედი. სამი წლის უკან მან დასტოვა სტამბოლი და გადასახლდა პარიჟში და დაუძინებელი მტერი შეიქნა სულთანისა და ოსმალეთის არსებულ წყობილებისა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ბევრი ოსმალი გარდასახლებულა ევროპაში, ბევრი გარევოლიუციონერებულა და გადემოკრატებულა; მაგრამ როცა ოსმალეთის მთავრობას მათთვინ თბილი ადგილი შეუძლევია სტამბოლში, რევოლიუციონერებს და დემოკრატებს მაშინვე დაუვიწყნიათ ყველაფერი წმიდათა წმიდა, და დაბრუნებულან ისევ თავის სამშობლოში და მთავრობის ყურ-მოჭრილი მონა გამხდარან. მაგრამ მაჰმედა სულ სხვა იყო, ის უკანასკნელ სულის მოთქმამდინაც შეურიგებელი მტერი იყო ოსმალეთის მართვა-გამგეობას.

პარიჟში დიდის ამბით დაუხვდნენ მაჰმედ-ფაშას, როგორც შეუდარებელსა და ძლიერს რევოლიუციონერს და მებრძოლს. საზღვარ გარეთის მთელი ოსმალეთის ახალ გაზდობა აღიარებდა მაჰმედ-ფაშას თავის ბელადად. ოსმალეთის ახალ გაზდათა ჯგუფმა დიდი პატივის ცემა მიიპოვა უცხოეთში მაჰმედ-ფაშის წყალობით.

**მაკედონია** მსოფლიო მშვიდობიანობის ქალთა კავშირმა „Mouv. Macédonien"-ში შემდეგი პროკლამაცია დაიბეჭდა:

„პატარა ქვეყანამ მაკედონიამ ხმა აღმაღლა თავისუფლების მოპოებისთვის; პატარა ქვეყნის ხალხი ერთიანად აღსდგა ძალ-მომრეობის დასამხობად: ან სიკვდილი, ან სიცოცხლეო, გმირულად გაიძახის ის.

მაკედონელთ არ ძალუძთ აიტანონ ოსმალთა მტარვალობა და უკანონობა—ქვეყანა აბობოქრდა ბარბაროსისა და სიმხეცის წინააღმდეგ. დამჩაგვრელნი-კი ხოცვენ და ჰჟლეტენ აჯანყებულებს. სისხლის ნაკადულმა მოიცვა არე-მარე. საწყალი მეამბოხენი სიკვდილით ჰყიდულობენ თავისუფლებას და მთელი ევროპა-კი ამ დროს გულგრილად შეჰყურებს ოსმალეთის ამ გვარ სიმხეცეს და ადამიანის უფლების ასეთს სამარცხვინო გათელვას.

„ქალების, ბავშვების წივილ-კივილი, მოხუცთა და ახალ გაზდათა ოხვრა-გოდება, კვნესა და ტირილი მთელს არე მარეს მოეფინა.

„ბულგარიის ხალხიც აღელდა, აბობოქრდა და ზვირთდა; აქ ბავშვებს ცოცხლად სწვავენ, ქალებს ძალ-მომრეობას აყენებენ, აუპატიურებენ, ჰჟლეტენ, ხოცვენ და ციხეში აგდებენ"...

„მოსალოდნელი ქარ-ბუქი უკვე ამოვარდა; გაზაფხულზე საქმე უფრო გამწვავდება, ბოროტმოქმედებანი და სიმხეცენი უფრო მეტი იქნება შემდეგში. თვალ-წინ გვიდგა საზარელი და შემაძრწუნებელი სურათი; ამისათვის მოგმართავთ ქვენ, ძმანო და დანო, მთელი კაცობრიობას გულ-მხურვალე თხოვნითა და ხვეწნით, ნუ მივსცემთ ნებას ოსმალეთს ამ ძალმომრეობის ჩადენისას, დროა—ბოლო მოეღოს მაკედონიის ხალხის ტანჯვასა და წვალებას, ოხვრასა და გოდებას. ჩვენ ვთხოულობთ განათლებული ქვეყნები ჩაერიონ მაკედონიის საქმეში და აღაგმონ შეუბრალებელი მტარვალი. პატარა ქვეყანა, რომელიც თავ-გამოდებით იცავდა და იცავს თავის არსებობას, ღირსია თანაგრძნობის, გამხნევების და დახმარებისა. სახელითა თავისუფლებისა და კაცობრიობისა ჩვენ ვთხოულობთ განათლებულ ქვეყნის დახმარებას.

„კრებების, ყრილობების და მწერლობის საშუალებით აღამაღლეთ ხმა იმ ხალხის სასარგებლოდ, რომელიც თხოულობს მხოლოდ იმ რეფორმების შემოღებას, რომელიც უკვე აღთქმული ჰქონდა იმას. მაკედონელნი ბევრს არ თხოულობენ, ისინი ცდილობენ მხოლოდ თავის აუტანელი სვე-ბედის შემსუბუქებას. ისინი თხოულობენ, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობის მე 23 მუხლი დაცულ იქმნას.

ეს ერთად ერთი სურვილია, რომელიც მოითხოვეს, და ჩვენც ვთხოულობთ მის დაკმაყოფილებას".

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი

**„მელანიას ოინები", კომ. 4 მოქმ. გადმოკეთებული კოტე მესხის მიერ ჰაუპტმანიდგან. ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის ბენეფისი.**

ყოველთვის, როცა თეატრში მივდივართ, გული იმედით სავსე გვაქვს და გვგონია, დღეს უთუოდ ვეღირსებით კარგი პიესის ხილვასაო, მაგრამ... მწარედ მოტყუებულნი-კი ვრჩებით. ასევე დაგვემართა ხუთშაბათს, როდესაც „მელანიას ოინები" წარმოადგინეს, თუმცა დიდი იმედი გვქონდა ამ პიესისა, რადგან იგი ჰაუპტმანიდგან იყო გადმოკეთებული, ნიჭიერ მსახიობ კ. მესხის მიერ.

არ ვიცი, თვითონ ჰაუპტმანის პიესაა ცუდი, თუ გადმომკეთებელმა გადმოაკეთა ცუდად, მაგრამ ის-კი ცხადზედ უცხადესია, რომ ჩვენ იმედ გაცრუებულნი დავრჩით,

ერთ ოთახში სცხოვრობს ცოლ-ქმარი მედროგე (ვ. აბაშიძე) და მელანია (გაბუნია-ცაგარლისა), რომელთაც ორი ქალიშვილი ჰყავთ. ცოლ-ქმარმა ერთი ქალი კატო (ო. ლეჟავა) მდიდარ გრიქულოვთან (გედევანოვი) დააყენა მოახლედ... მელანია ფხიანი დედაკაცია და ამასთანავე გარეწ, რასაც მოჰკრავს თვალს, სახლისაკენ გააქანებს... მედროგე პავლე-კი დოყლაპიაა... ერთხელ მელანია მოიპარავს დაკლულ ხბოს და 17 აბაზად გაჰყიდის. ხბოს მყიდველი მელანიას ეუბნება, გრიქულოვს კარში ქურქი აქვს და რომ ვინმე მოიპარავდეს და მომიტანდეს, ხუთ თუმანს არ დავიშურებდიო. მელანიას გაეხარდება და თავის ქალს მოაპარვინებს ქურქს, რომელსაც ხბოს მყიდველი ყასაბი პანკისა (ვ. გამყრელიძე) ყიდულობს. მელანია ამავ დროს გრიქულოვის ეზოდგან ერთ საჟენს შეშას მოაპარვინებს და დროგით წამოაღებინებს ქმარს...

აი, ამ ნაქურდალის გამო, ერთი დავიდარაბა ასტყდება, გრიქულოვი გამწარებულა დაეძებს ქურქს და შეშას. ის გამომძიებელთან (თუ ბოქაულთან, პიესიდან სრულიად არა სჩანს) იჩივლებს და ერთ მართალ კაცსაც იჭერენ ამ ქურდობის თაობაზედ.

უცქერი და გწყდება გული, რომ მთელი ოთხი მოქმედება აშენებულია ხბოზედ და ქურქზედ. მართალია, ეს სენი—ქურდობა სოციალური მოვლენაა, იგი შედეგია დღევანდელ ცხოვრების უკუღმართობისა, მაგრამ გადმომკეთებელი ქურდობას ამ მნიშვნელობას-კი არ აძლევს, არამედ ამით აჩვენებს მელანიას თვალთმაქცობას, ფხიანობას და სხვ. პიესაში არიან ერთი ორი ტიპები, რომლებსაც პიესასთან ბევრი საერთო რამე არა აქვთ, მაგრამ მიკერებულები არიან ნაძალადევად.

ზოგი ადგილები პიესისა სწორედ ისეთია, რომ თავი ცირკში გეგონებათ. გადმომკეთებელი მომქმედ პირთ ერთსა და იმავე სიტყვებს, თუ დაატყო ეს ხალხში სიცილ-ხარხარს გამოიწვევსო, ათჯერ და ოცდაათჯერ ამეორებინებს. მაგალითად ხბოს დამკარგავი არუწა (აწყურელი) მთელი მეორე მოქმედების განმავლობაში სულ ამას გაიძახის გამომძიებელთან: „ხუთი მანეთი მიმიცია, დამიკლავს, ჩამომიკიდნია და აღარ არისო". ეს ადგილები სწორედ პატარა ბავშვის საქციელს მიგაგონებთ, რომელიც თავის ქერქში აღარ დგება, თუ ერთი გაუცინეთ.

პიესის „ღირსება" კიდევ ის არის, რომ იგი სავსეა უკბილო ოხუნჯობით. მაგალითად, მელანია ეუბნება ქმარს, შენ იმიტომ გეშინია ქურდობისა, რომ ციმბირში გაგზავნიანო. ამაზედ ქმარი ეტყვის, ციმბირში-კი არა, ქიზიყი არ გინდაო. ესეთის ოხუნჯობით სავსეა მთელი პიესა. მომქმედი პირები დგანან დ̃ იძახიან გადმომკეთებლისაგან მოგონილს სიტყვებს და თითქოს სასოწარკვეთილებას ეძლევიან, რატომ ხალხს ვერ ვაცინებთო. მომქმედ პირებთან ერთად წვალობს ავტორიც, ამეორებინებს ერთსა დ̃ იმავე სიტყვებს, იქნებ ხალხს სიცილ-ხარხარი აღუძრა, მაგრამ რა ნახავს, ამით ვერაფერს გავხდიო, თითქოს ეხვეწება დამსწრეთ: ერთი ბეწვა შებრალება რატომ არა გაქვთ, ხომ ხედავთ, მე ვერ გაცინებთ, თქვენ მაინც გაიცინეთო.

თამაშობის შესახებ ხვალ მოვილაპარაკებ.

ა—ნა.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

23 იანვარი.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტ".-ში დაბეჭდილი იყო რუსეთის სააგენტოს დეპეშა მიტავიდან, რომ იქ ძლიერ ნაკლებობაა პურისა და ბალტიის მხარის ზოგიერთ ადგილებში მოუსავლობის გამო ხალხი იმდენად შევიწროვებულია, რომ საჭირო შეიქმნა შემწეობათა მოგროვებაო. იმავე დეპეშაში ამასთანავე ნათქვამი იყო: „ადმინისტრაცია მოწადინებულია შეიძინოს თესლი და ხალხს დაურიგოს". მაგრამ იმ მხრის სამ გუბერნიიდან მხოლოდ ესტლიანდიისა და ლიფლიანდიის გუბერნიებში იყო ნაკლები პურის მოსავალი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მარტო ლიფლიანდიის გუბერნიიდან მოუვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ ხალხის დახმარება საჭიროა. საგუბერნიო მთავრობის ცნობებით, ხსენებულ გუბერნიის მცხოვრებთ მარტო სათესლედ დასჭირდებათ 750000 ფუთი ხორბალი. ამათგან საკუთრივ გლეხებს დასჭირდებათ 480,000 ფუთი; ადგილობრივ გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტის პაშკოვის შუამდგომლობით 1000 ვაგონი შვრია და ქერი ფას-დაკლებით გადაიზიდება რკინის გზით; საჭირო ხორბალს უკვე ყიდულობს ლიფლიანდიის საკეთილმოწყობილო საზოგადოება. კანონის ძალით, ხალხის საზრდოსათვის დანიშნულია ადგილობრივი სავალდებულო სათადარიგო თანხა, რომელიც 1902 წლის იანვარს უდრიდა ფულად 6.200,000 მანათს, ხოლო ხორბალი ჰქონდათ 3 მილიონი ფუთი. მცხოვრებთა რიცხვი-კი 1,786,509. ეს თანხა სრულიად საკმარისია აღნიშნულ გუბერნიების მცხოვრებთა დასახმარებლად.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სენატის კომისიამ მოიწონა კოლუმბიასთან ხელშეკრულობა პანამის არხის გაყვანის შესახებ.

**ჟიტომირი.** 22 იანვარს უკანასკნელად ჰქონდა სხდომა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტს. სხვათა შორის, მიღებულ იქმნა შემდეგი საყურადღებო რეზოლიუციები: შემოღებულ იქმნას საზოგადო სავალდებულო სწავლება, დაარსდეს, რაც შეიძლება მეტი საპროფესიონალო სკოლა, მიღებულ იქმნას ყოველ-გვარი ღონისძიება გლეხთა კულტურისა და ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოისპოს, სერვიტუტები და ადგილ-მამულის მეტის-მეტი დანაწილება და შემოღებულ იქმნას ერობა.

**ხარკოვი.** ბანკთა საქმე. მთელი სხდომა მოანდომებს საბრალმდებლო ოქმის კითხვას. ბრალდებულთ თავის თავი არ აღიარეს დამნაშავედ.

**ლონდონი.** ოფიციალურ ბიულეტენიდან სჩანს რომ მეფე თან-და-თან უკეთ ხდება.

**ჟენევა.** საქსონიის კრონპრინცესა და ჟირონი შუადღისას მოვიდნენ სადგურზე. მიეგება მათ დეპოტოლდ ველფლინგი. ჟენევაში ცოტა ხანს დარჩებიან; ამბობენ, კრონპრინცესა შემდეგ მარტო გაემგზავრება ზალცბურგშიო.

**პრაგა.** თავადი ლობკოვიცი გარდაიცვალა. თავის მამულ რაუდენცში.

**სტამბოლი.** იტალიის გემის მეზღვაურნი, რომელიც ავაზაკებმა შეიპყრეს, იპოვეს. გამოძიება სწორად სწარმოებს.

**ვენა.** იმპერატორი ორის კვირით ბუდაპეშტს წავიდა.

**ლონდონი.** მოკავშირე სახელმწიფოები არ თხოულობენ, რომ მათი პრეტენზიები განცალკევებულ იქმნან; ისინი თანახმანი არიან, ვენესუელამ მოაწყოს თავისი საქმეები სხვა სახელმწიფოებთან, იმ პირობით-კი, რომ ეს საქმეები არ აურიოს მოკავშირე სახელმწიფოთა პრეტენზიებში. მოკავშირენი ბლოკადას არ მოსპობენ, სანამ ეს მოთხოვნა არ იქმნება აღსრულებული.

**სოფია.** რუმინიის მთავრობამ ნება მისცა ბოლგარელებს, რომელნიც ორის წლის წინად რუმინიიდგან განდევნილ იქმნენ მიხალეანუს მოკვლის გამო, ისევ დაბრუნდნენ რუმინიაში.

შინაგან საქმეთა მინისტრი მაკედონიის საზღვარზედ წავიდა საქმის ნამდვილ მდგომარეობათა შესატყობად.

**პეტერბურგი.** 22 იანვარს, ფინანსთა მინისტრისის მეჯლისი გამართა.

**ფილიპპოპოლი.** ოსმალთა პარიჟის ელჩი გუნირ-ბეი გაწვეულ იქმნა სტამბოლს; მასზედ სულთანი არა მოწყალედ არის, იმის გამო, რომ უნაყოფოდ ჩაიარა მოლაპარაკებამ მახმუდ-ფაშის გვამის გადატანის შესახებ; ამბობენ, აღარ დააბრუნებენ მას თანამდებობაზეო. იამანეთში საქმე იხლართება. სირიიდგან გაიგზავნა 15 ბატალიონი. შეტაკება ინგლისთან არ გათავებულა. კომისია, რომელმაც უნდა განსაზღვროს ინგლისისა და ოსმალეთის სამფლობელო, საქმეს არ შესდგომია.

**ეკატერინბურგი.** 20 იანვარს დაიხურა მთა-მადნის მწარმოებელთა კრება. დადგენილ იქმნა, შუამდგომლობა აღიძრას ეკატერინბურგში ლითონისა და საერთო ბირჟის შემოღების შესახებ.

**ლოძი.** 22 იანვარს დაიხურა სგიგიენო და მომხმარებელი გამოფენა.

**სტამბოლი.** სადიპლომატიო წრეებში ეჭვს აცხადებენ იმ ცნობების შესახებ, ვითომ ბოლგარელთა ბრბოები გაზაფხულზე ოსმალეთს თავს დაესხმიან.

**ფილიპეპოპოლი.** ანატოლიისა და რუმელის გზების მმართველობას ებრძანა, მოუმატონ მოსამსახურეთა რიცხვი და მზად იყოლიონ გაზაფხულისთვის.

**სოფია.** ოსმალთა საელჩოს აგენტმა რუშჩუკში „ბოლგარიის სატელეგრაფო სააგენტოს" დაავალა უარჰყოს ის ხმები, ვითომ ბოლგარელთა ბრბონი მაკედონიას შეესევიან და გადასცეს, რომ ბოლგარიის მთავრობა თანხმდება მოხდეს საერთაშორისო გამოძიება, რომლითაც ცხადად დამტკიცდება გავრცელებულ ხმების უსაფუძვლობა

**ბათუმი.** იწვის მანთაშოვის ქარხანა. ცეცხლი საშიში ხდება.

**ბუდაპეშტი.** იმპერატორი ფრანც იოსები მოვიდა და დიდხანს დარჩება აქ.

**ლონდონი.** ოფიციალურად იცნობებიან, რომ მეფე უკეთ არისო.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო დეპარტამენტში რომ მოვიდა ცნობა, პრეზიდენტმა გონდურასისამ გენერალმა სიერრამ თავისი უფლება გადასცა მინისტრის საბჭოს და პრეზიტენტად არჩეულ ექიმმა ბონილიამ თვისი თავი პრეზიდენტად გამოაცხადა, ამერიკის სამხედრო სასამართლომ მისწერა წავიდეს ამაპალას შტატების ინტერესების დასაცველად.

**პეტერბურგი.** რომის-კათოლიკე მიტროპოლიტის კლოპოტოვსკის ჯანმრთელობა საშიშ მდგომარეობაშია. ცოტათი მოიხედა

24 იანვარი

**ხერსონი.** უმავთულო ტელეგრაფის შემოღებას, რომელიც საცდელად გამართეს ხერსონსა, გოლაიასა და პრისტანის შორის, კარგი შედეგი მოჰყვა.

**სოფია.** კრებაზედ მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, მაკედონელთა საქმე დიდ სახელმწიფოთა ხელშიაო. ოსმალეთი დასთანხმდა აირჩეს კომისია საკედონიიდგან გაქცეულთა დასაბრუნებლად.

**კიევი.** კიევის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი პლატონი შეუდგა თანამდებობის შესრულებას.

**კარაკასი.** მთავრობამ წინადადება მისცა ადგილობრივ და უცხოელ ვაჭართ, ხელი მოაწერეთ მილიონ ნახევარ ბოლივარ სესხსაო.

**ბერლინი.** „ფრან." სიტყვით, გარდაიცვალა ჩინეთის იმპერატრიცა. მისი სიკვდილი საიდუმლოებად დარჩება ახალ-წლის უქმეების გათავებამდე.

**პეტერბურგის ბირჟა,** 21 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,27½ |
| პარიჟში ,, | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 101 გაყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა | 945 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 461½ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 372 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 308 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 82¾ გაყიდ. |
| 5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 90,90¾ წვ.-გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 195 გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3( საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

## სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 25 იანვარს დანიშნულია განსახილველად:

1) დავა მ. შალამბერიძისა და პ. დადიანისა.
2) დავა გ. შანიძისა და ი. ძნელაძისა.
3) დავა ი. გაბაშვილისა და ი. ერისთავისა.
4) დავა ს. გულუასი, მ. ქუთათელაძისა და დ. ძნელაძისა.
5) დავა ტ. როსნაძისა და კ. გოცირიძისა.
6) დავა ს. თევდორაშვილისა და ნ. ვარდიაშვილისა.
7) დავა თ-დ პ. დადიანისა და პ. ტოლორდავასი.

დავა იოსებ კრასკისა და ივანე ბაქრაძისა.

საქმე მარიამ მენტომაშვილისა და ივანე გურგენბეკოვისა და მენოქი მენტომაშვილისა ღვინის თაობაზედ.


# განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

# ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით დ̃ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—4.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი